№ 91

საქართველო

ოთხშაბათი, 25 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

№ 91 ... ბიბლიოთეკა

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

საქართველო გაზეთი

ყოველ-დღიურ გაკოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირეული) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხუთვა ადგილებიდან კაკვანიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დამეჯდება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი მღირება.

* * * * ხელის მოწერა საყურადღებოდ * * * *

* * * * * * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმოწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„საბალნო გაზეთის“ კანტორა ღია ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пащалишвили.**

ოთხშაბათს, 25 აგვისტოს, გარდაცვალების წლის თავზე

რომან დავითის ძის ფიორაქიშვილის

სულის მოსახსენებლად ვერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებელის დედა და ცოლი შვილებით. პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე. (1—ტ.—1)

ხუთშაბათს, 26 აგვისტოს, გარდაცვალების წლის თავზე

ბარბარე ბაბრიელის ასულის გაბაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში წლის წირვა და პანაშვიდი, რასაც განსვენებულის შვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება 10 ს., პანაშვიდი 11½ ს. (1—ტ.—1)

კვირას, 5 სექტემბერს

დღის 11½ საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში

მოხდება პირველი საზოგადო კრება ახლად მთავრობის მიერ ნება დართულ

„ქართველ მომღერალთა საზოგადოება სანთბრისა.“

განსახილველია:

1. გაცნობა საზოგადოების წესდებისა;
2. ახალ წევრების მიღება;
3. ხაზოგადოების გამგეობის არჩევა. (5—5)

სახალხო სახლი ძმ. ზუგალაშვილებისა

21 აგვისტოს მაგიერ შაბათას, 4 ენკენისთვეს ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით გაიმართება

ლიტ. რატურულ-პოკალური საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გოცირიძე და ახალგაზდა მწერლები: ბ. ახოსპირელი, გ. ეფაკი, იასამანი, ირეთელი, რ. ლეჩუმელი, ტრ. რამიშვილი, ფ. რუშაველი, პართენაშვილი, ქეჩიშვილი და სხვ. ვ. ს. მესხიშვილი წაიკითხავს გრიმში „შეშლილის წერილებს“, ნ. ვ. გოგოლისა გ. გედევანოვი და ნ. გოცირიძე შეასრულებენ „ვაი-ვაის“ ხმაზე ახალ კუპლეტებს. მწერლები წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს.

გურულების ხორა შეასრულებს სახალხო სიმღერებს და ორ-სართულიან ფერხულს. დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს. ფასები 10 კ. 1 მ. 50 კ.-მდე. 21 აგვისტოს აღებული ბილეთები გამოდგება ამ საღამოსთვის. გამგე **ს. ხვიმონიძე.**

წიგნის გამომცემელი ამხანაგობა „ალიონი“

ამით აცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია.

(0—ნ.—11) ამხანაგობა „ალიონი“-ს გამგე **ვ. გადილია.**

ვაგზლის ქერქი სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2, ს.

ა. ბოგოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს, შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი. მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კანსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—422)

ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის

წიგნის მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული

სახელმძღვანელო წიგნები.

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნს მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყველაზე გადახდებათ თითო შაური.

ვინც ფასდადებით გამოიწერს, ან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

1. გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. . . . . ფასი 80 კ.
2. ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა, ... „ 50 „
3. ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა, ... „ 20 „
3. ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა, ... „ 50 „
5. საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა, ... „ 25 „
6. ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, ... „ 10 „
7. დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, 3 ბარაბანი. . „ 15 „

(25—ნ.—6)

ტფილისის ქერქი სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტ.ელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.—შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გორგიოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკა გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი, ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

ბაბოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოველ დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოვ. დღ. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი ბაქტეროლოგიური ლაბორატორ, რომელსაც ეკიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციები, კონსულტაციები, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—261)

გამგეობა

ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა ამით აცნობებს ხსენებული საზოგადოების წევრთ, რომ თანახმათ 26 ამხანაგის წერილობითი განცხადებისა დანიშნულია 5 სექტემბერს ამა 1910 წელს ხონი სავაჟო პროგიმნაზიის შენობაში.

საგანი კრებისა:

გადასინჯვა საბჭოს და გამგეობის დადგენილებისა ახალ ბინაზე გადატანის შესახებ. (2—ნ—1).

სამკურნალო

სპეციალისტ სამშობიარო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაწლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ხარაბ—ბავშვ. შინ. ყოველ-დღე 3-4 ს.

თეორაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ბავლოცკი—ქირურგ. ყოველ-დღე 4-5 ს.

იოსელიანინა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი. ჰიპნოზი. ყოველ-დღე 4—5 საათ.

მოხნე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ-დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ-დღე 12-1 ს.

ხუდაბაშვილი—ქალებ., ყოველ-დღე, 1—2 ს.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ-დღე 11—12½ საათ.

ვეფელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

ბაგისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროთერაპია. ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

ფონდოვი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

ი. მ. ახპახოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმის შრატით. (100—ნ.—89)

ექიმი **ზ. ნ. მაგაკიანი** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზაგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—წალ.—16)

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ბუთმაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, ხაზლი გაბაშვილისა (ფ)

ექიმი **ვაბ. ი. ბოკიელოვი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფებს მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა ელექტრო-ტერაპია, ელექტროლინის ფიზიოლოგიის მასსაჟი. ალექსანდრეს ქ., ხაკუთარი ხაზლი (50—ნ.—51)

ექიმი **კბილისა ალ. სოლოდოვაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, ხაზლი მდგანისა. (ფ)

კაბინეტი **ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყოფლანოვის ქუჩა, ხაკუთ. ხაზლი, N 20. ტელ. N 79 (0—ნ.—31)

ექიმი **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ს. ღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნიკოვი). (0—201

„განათლების“

საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ბავშვების მიღება და ხელმეორე გამოცდა ხსენებულ საზოგადოების საქალაქო სკოლაში. როგორც განყოფილებებში, აგრეთვე პროგიმნაზიულ სამ კლასსში დაიწყობა 26 აგვისტოდან დილის 9—1 საათამდის სწავლა დაიწყობა 1 ენკენისთვეს.

ადრესი: სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა № 6, საკუთარი სახლი (3—3).

ქირავდება ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კირპიჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69. მარჯვენა ზკმოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

მოგაგონებთ,

რომ ენკენისთვიდან იხსნება კურსები ქართული და რუსული ენებისა. ფასი მთელი სწავლისა 20 მანეთი წელიწადში. მიიღებიან სრულ პანსიონერებათაც **Тумановскій пер. 24.**

კურსების დამაარსებელი **ივ. ბ. როსტომაშვილი.** (3—112—1)

ქუთაისის

საათავად-აზნაურო ქართული

გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ

პირველსა და **მეორე განყოფილებასა** და **მერვე კლასში** **სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს,**

ხოლო დანარჩენ კლასებში **20 სექტემბრიდან.**

(5—ნ.—1)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

საქართველოში კარგად ცნობილ დეკანოზ ვოსტორგოვისთანა თავისუფალი, განდიდებული და ხელშეუხებელი ადამიანი მთელ რუსეთში მეორე არ მოიპოვება. ამ უცნაურის დეკანოზის საქმენი უცნაური და საგმირონი დროგამოშვებით ეუწყება ხოლმე მთელ ქვეყანას; მას უწოდებენ გარყვნილს, გახრწნილს, ფლიდს, მატყუარას, თავხედს, გაიძვერას, უმღვთოს და უსინიდისოს... არა, მარტო უწოდებენ კი არა, უმტკიცებენ კიდეც საქმით, ფაქტებით... საჯაროთ აცხადებენ, რომ ამა და ამ დროს, ამა და ამ პირობებში და ამა და ამ ადგილს ესა და ეს საზიზღრობა ჩადინა დეკანოზმა ვოსტორგოვმაო, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს, გეგონებათ რუსეთში მართლაც არ არსებობდეს საბრალმდებლო დაწესებულება, არ იყოს პოლიცია, კანონი და სამართალი! სხვას თუ ამისთვის აქამდე ჯვარს აცვამდნენ, გაატყავებდნენ, ანძალზე ჩამოჰკიდებდნენ, სამარცხვინო ბოძზე გააკრავდნენ, დეკანოზი ვოსტორგოვი კი სულ მეტსა და მეტ დიდებასა და ხარისხს იძენს. რათ ხდება ეს, რა მიზეზია რომ საქვეყნოდ შერცხვენილი „სულიერი მამა“ კვლავ უვნებელია? ოღონდაც რომ საკითხავია და აკი ამიტომაც „რეჩს“ ერთ-ერთი თანამშრომელი გულ ამღვრევით ამბობს:

„ვერ გამიგია, ღმერთმანი! ვოსტორგოვს ხომ ისეთ ბრალსა სდებენ, რომელიც სისხლის სამართლის წესით უნდა გაირჩეს, იმ წესით, რომელიც სასჯელთა დებულებაშია აღნიშნული. მას ბრალსა სდებენ პირახდილად, პირდა-პირ უჩვენებენ თარიღს, დროსა და ადგილს. ბრალმდებელის ამხანაგი კი—რომელსაც საქმე შეეხება სდუმს. ღმერთმანი უცნაურია! დღე და ღამე ჩასჩიჩინებენ: დეკანოზმა ვოსტორგოვმა ესა და ეს დანაშაულობა ჩაიდინაო და ბრალმდებლის ამხანაგი კი ყურსაც არ იბერტყს, სდუმს თვით ვოსტორგოვიც, სდუმს პოლიციაც, ყურთა სმენა დაზშვია სინოდსაც, რომლის მინდობილობითაც დეკანოზი ვოსტორგოვი ციმბირში რაღაც რევიზიებს აკეთებს.

ოღონდაც, რომ უცნაური ისტორიაა! რატომ ვოსტორგოვს სამართალში არ აძლევენ, რატომ საქმეს არ იძიებენ, ან რატომ თვით ვოსტორგოვი პასუხს არ აძლევს თავის ბრალმდებლებს, რატომ არ უჩვენის თავისს ბრალმდებლებს სისხლის სასამართლოში ცილის წამებისათვის? რადა სდუმს პოლიცია, ყურად არ იღებს ბრალმდებელის ამხანაგი, განზე რად იმზირება გამომძიებელი, რადა ყუჩობს უწყ?. სინოდი?... ნუ თუ ვოსტორგოვი ისეთი დიდი კაცია, რომ მისი ხელის შეხება არ შეიძლებოდეს?.. განა ცოტა გენერლობა მიუციათ სამართალში, მაშ ვოსტორგოვი რაღა წითელი კოჭია?... მსგრამ დეკანოზ ვოსტორგოვს ალბად რაღაც თილისმა, რაღაც ჯადო უნდა ჰქონდესო!

გულ-ამოსკვნით დასძენს „რეჩის“ ბატონი თანამშრომელი. თილისმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს პატიცემული თანამშრომელი ჩვენში რომ იყოს და აქედან უყურებდეს რუსეთის საქმეებს, უფრო გულმოკლული წამოიძახებდა: „სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პარი წყალითა მაქვს სავსეო“. ვაი თევზებს, თორემ გულქვა მეთევზეებს ჯერ-ჯერობით რაი უპირთ!!..

* * *

აგერ ათ წელზე მეტია, რაც სფერებში რუსეთის საშუალო სკოლის რეფორმის საკიროებაზე არის ლაპარაკი, მაკრამ ეს რეფორმა ჯერაც განუხორციელებელია ისე, როგორც რეფორმა უნივერსიტეტებისა. ეხლახან სახალხო განათლების მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა განსახილველად კანონ-პროექტი, რომლის შინაარსი გუშინ გავაცანით ჩვენს მკითხველს. საშუალო სკოლის რეფორმა მეტად სერიოზული საქმეა და რუსეთის პრესსაც სერიოზულად შეხვდა მას. გაზეთი „რეჩის“ აზრით ეს ახალი პროექტი შვარცისა ისეთივე უვარგისია, როგორიც მისივე პროექტი უნივერსიტეტების რეფორმისა. ამ პროექტებში სულ პოლიტიკურია და არა პედაგოგიურია, ამბობს გაზეთი.

მოსამზადებელ და უნტროს კლასების განცალკევება გიმნაზიებისაგან ნიშნავს იმას, რომ საშუალო სკოლიდან განიდევნება ის დემოკრატიული ელემენტი, რომელიც დღეს დღეობით მოწაფეების დიდ უმეტესობას შეადგენს. მოსამზადებელი სკოლები—ეს საშუალებაა მოშორების გიმნაზიებისაგან მცხოვრებლების დაბალ კლასებისა. ამგვარად გიმნაზიებში სწავლის მიღების საშუალება ექმნებათ მხოლოდ „რჩეულებსო“, განაგრძობს გაზეთი.

გაზეთი „რეჩი“ მხოლოდ ზოგად მოსაზრებებს გამოსთქვამს პროექტის შესახებ, არსებითად განხილვას კი მერმ სთვის გვპირდება. მეორე სატახტო გაზეთი კი „რეს. ვედომ.“ არსებითადაც ეხება ახალ კანონ-პროექტს და იმ დასკვნამდის მიდის რომ.

„ეხლანდელ სამოსწავლო გეგმებთან შედარებით ახალი კანონ-პროექტს ვერავითარი არსებითი უკეთესობა ვერ შეაქვს. გიმნაზიები ბერძნულ და ლათინურ ენებით კლასიკურ გიმნაზიებათ დარჩებიან, ისეთი გიმნაზიები კი, სადაც მარტო ახალი ენების სწავლება იქნება და არა ძველებისა, ვერ შესძლებენ განზრახულ პროექტების მიხედვით მეტი რეალური ცოდნა მისცენ მოწაფეებს...

საერთოდ პროექტშიო, დასკვნის გაზეთი, ნათლად გამოსჩვივის უხეირო ნაყოფი მოხელეს ფორმალობას შეჩვეულ გონებისა, რომელიც შაბლონს ვერ გასცილებია და რომელსაც არ შეუძლია ღრმად ჩახედოს საგანს და მიიღოს მხედველობაში მოთხოვნილებანი დროისა, მეცნიერებისა და სხვა-და-სხვა გვარ პირობებისა ჩვენი სახელმწიფოსია.

მენშიკოვსაც არ მოსწონს ახალი კანონ-პროექტი.

მთავრობის კანონ-პროექტი საშუალო სკოლის შესახებ იმოდენად უვარგისიაო, ამბობს „ნოვ. ვრ.“ პუბლიცისტი, რომ საჭიროებს ძირითად ცვლილებას „პარლამენტში“.

შვარცის კანონ-პროექტებს ბედი არა აქვს. თვითონ „ნოვ. ვრ.“ იწონებს.

დეპეშები

(ბმტმრბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 აგვისტო.

საზღვარ-გარედ

პეკინი. ჩინეთის მთავრობა დინჯად შეჰხვდა კორეის ანექსიას. გაზეთებში ჯერ-ჯერობით ოფიციალური და პოლიტიკური სტატიები არ დაბეჭდილა. საერთოდ „ჩინეთის პრესსა კორეის ბედს დასტირის და აფრთხილებს ჩინეთს, ასეთივე ბედი არ ეწიოს. ამავე აზრით ხელმძღვანელობენ აგრეთვე საკონსტიტუციო რეფორმის მომხრენი საგიტაციოდ.

შამბერი. მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ ბანკეტზე ფალიერმა წარმოსთქვა სიტყვა და სხვათა შორის სთქვა: საფრანგეთის საფრანგეთთან შეერთებამ გამოაშკარავა, რომ საფრანგეთს და იტალიას, რომლის მეგობრობაც ჩვენთვის ძვირფასია, ერთმანეთისა სხვა არაფერი მოაგონდებათ გარეშე საერთოდ შეძენილის დიდებისა. დასასრულ ფალიერი ქებას ასხავს საფოელების მინდობილობას იმ რეჟიმისადმი, რომელმაც დააჭერინა საფრანგეთს დიდებული ადგილი მსოფლიოში.

ბარსელონა. მუშათა კომიტეტმა გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა ნიშნად ბილბათში გაფიცულ მუშებისადმი თანაგრძნობისა.

ტეგერანი. მთავრობა შეფიქრიანებულია იმ მდგომარეობის გამო, რომელიც დაიჭირეს სამხრეთში კაშკანელები. სოულტ-ოდ-დოული კვლავ იმუქრება და ემზადება თეგერანზე წასასვლელად სერდარ-ასადის ჩამოსაგდებლად და შეუზღუდავ მონარქიის დასამყარებლად. ისპანის გუბერნატორს სერდარ-ასაჯის და აგრეთვე ილხანიე-მირ-მუფ-ფეხხამს, ორივეს სძულთ სერდარ-ასადი და სოულტის მხარეზე არიან. სერდარ-ასადი თხოულობს სოულტის გადაყენებას, მაგრამ მინისტრები პირდაპირის განხეთქილების შიშით ამაზე არა თანხმდებიან.

მთავრობამ თავისი გაიყვანა და ეფრემი თავის პოსტზე დარჩა. ასტრაბადის გუბერნატორი სამსახურიდან გადადგა და თეგერანში წავიდა.

რ უ ს ე თ ი

პეტერბურგი ფინანსთა მინისტრმა დაადგინა 10 სექტემბრიდან მოისპოს დაბალის ბაჟით უცხოეთიდან თეთრ ფხვიერ შაქრის შემოტანა. საბაჟოებში ამ ვადის შემდეგ მუსული შაქარი შეიძლება შემოიტანონ რუსეთში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის ნება დაჰრთო ფინანსთა მინისტრმა; მინისტრი ასეთ ნებართვას მისცემს მხოლოდ მაშინ, როცა დამტკიცდება, რომ ნასყიდობის აქტი ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე შესდგა, იმ პირობით კი, რომ საბაჟოდან გამოტანილ შაქრის საერთო რაოდენობა ა'ი აღემატებოდეს განსაზღვრულ რიცხვს:

ხოლერა და შავი ჭირი

პეტერბურგი. ხოლერით ავად გახდა 46, გარდაიცვალა 20, ავად არის 668.

რომი. დღე ღამის განმავლობაში ავად გახდა ხოლერით 14, გარდაიცვალა 8.

პეტერბურგი. ხოლერით კვირის განმავლობაში ალექსანდროვსკში 25 ავად გახდა, გარდაიცვალა 16; ასტრახანისა და ასტრახანის მაზრაში ავად გახდა 285, გარდაიცვალა 45, ავად არის 330; გომელის მაზრაში ავად გახდა 4; ნიკოლაევსკში ავად გახდა 33, გარდაიცვალა 4; რიგაში და რიგის მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

პერლინი. შანდაუსში ხოლერისაგან გადაიცვალა ერთი მოხელე.

რომი. აპელიაში ხოლერით ავად გახდა 19, გადაიცვალა 15. ხმა ხოლერაზე გენუის პროვინციაში მართალი არ გამოდგა.

პეტერბურგი. მრეწველობის ნაწილის გამგე ლიტვინოვ-ფლინსკი გაიგზავნა მოსკოვის დავლადიმირის გუბერნიებში იმ პირობათა გამოსარკვევად, რომელთაც გამოიწვიეს ადგილობრივი მდინარეების წაბილწვა ფაბრიკების უსუფთოო მილებიდან.

შავ ჭირიან მებრძოლმა კომისიამ დაადგინა, რომ სალოცავად მინავალი მაჰმადიანები საგანგებო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ნ. მ. გაგუნია-ცაგარლის გარდაცვალება

ჩვენმა რედაქციამ კიდევ შემდეგი დეპეშები მიიღო დაუვიწყარის ნატალია გაბუნარაცაილგ-ის გარდაცვალებისა გამო.

კისლოვოდსკი. გთხოვთ მიიღოთ ულრმესი სამძიმარი ქართული სცენის დამამშვენებელის, ნიჭიერისა და დაუვიწყარის ნატალია მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალებისა გამო. **ხატისოვი.**

—

პეტერბურგი. ეს არის ახლა შევიტყე ნიჭიერ მსახიობ-ქალის ნატალია მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების ამბავი. მის სახელთან ისე მჭიდროდ არის შეერთებული ქართული დრამის წარმატება, რომ მისის ნიჭის ზრდამ შეჰქმნა მთელი ისტორია ხელოვნებისა ჩვენში. სამშობლო სცენის უანგარო მოღვაწემ თავის შემდეგ დასტოვა ღრმა კვალი, რომელიც შკოლაა ახალი თაობისათვის.

თავ. ანდრია ერისთავი.

სამკურნალო ტალახი ახტალა

«ღმერთმა რომ ქვეყანა გაახინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი ულმეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯე და ეგ სიმდიდრე დედა-მიწის გულიდან ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.. ქრისტე ღმერთმა თავისი გალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, დაუბერტყნია».

ი. ჭავჭავაძე.

რაც ახლო ეცნობა ადამიანი ჩვენ ქვეყანას, მით უფრო საგრძნობელი ხდება ზემოდ მოყვანილი სიტყვები; მართლაც რომ ქრისტე-ღმერთს, იმ ულეველ და აუარებელ სიმდიდრის გარდა, რომელიც საერთოდ დედამიწის გულში ჩაუდვა და უანდერძნია დმერთს ადამიანისთვის, თავისი კალთა ეხვებისა ზედმეტად აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, დაუბერტყნია. განსაკუთრებით ეს ითქმის ერთს მის უმშვენიერეს კუთხეზე—კახეთზე. ეს კუთხე მართლ გარეგნულად არ არის თვალწარმტაცი—მას ზედ ერთვის სიუხვე-სიმდიდრე ბუნებისა, რაც ერთი ასად ძვირფას და მიმზიდველს ხდის და ამითაც აიხსნება, სხვათა შორის ის დიდი მისწრაფება, რომელიც გამოიჩინა სხვა და სხვა ელემენტმა მის ხელში ჩასაგდებად, რაც ამ უკანასკნელთ, შედარებით, ადვილად უხერხდებათ; ადგილობრივი მცხოვრები კი პირში ჩაღა-გამოვლებული რჩება, რადგანაც მეორე ნაწილი ზემოდ მოყვანილ ანდერძისა: „იშრომე, გაისარჯე და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოთ მოიხმარეო“, იმ ნაწილს ჩვენის ხალხისას, რომელსაც ბედმა არგუნა დღევანდლამდის ბატონ-პატრონობა ადგილ-მამულისა, უყურადღებოდ დაუტოვებია და მის განსახორციელებლად თითიც არ გაუნძრევია. ზოგიერთი მინერალური და სამკურნალო წყლები, რომლითაც მოფენილია გომბორის მთის უღელტეხილი, დოდაევის მამულები და სხვა უკვე უცხოელების ხელშია, მაგ., ელდაგინის მიაზედ უკვე მოქმედობს ბურავო ინჟინ. უაიტისა, აგრეთვე სხვის ხელშია მდიდარი

ახალი ბატონები

მოთხრობა ერთობის დროიდან.

(ბუმბერაზი ჩემ მახსოვლებელს სიფრფინ მგალობლიშვილს).

III

სწორედ იმ დროს, როდესაც ნიკა მეზობლებს ელაპარაკებოდა, კილიანას ხეობის ერთ კაკლოვანში ჯერ მხოლოდ ხუთი რაზმელი მოსულიყო: ბღვერია, ბილა და სამიც სხვა. ეს ხუთი ბიჭი ერთმანეთისა დიდი მეგობრები იყვნენ, უერთი-ერთმანეთოთ ჩხირსაც არ აბრუნებდნენ და ერთმანეთს არაფერს არ უმალავდნენ. მართალია დანარჩენ რაზმელებს „ამხანაგებს“ ეძახდნენ, მაგრამ ერთმანეთში-კი ბევრი ისეთი საიდუმლო საქმეები ჰქონდათ, რომ სხვებს არ ანდობდნენ. და, როგორც უფროსები; „ხალხის სამსახურის დროს“ მათგან სრულ მორჩილებასა და ქვეშევრდომობას თხოულობდნენ.

რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი მათი ურთიერთობა და ზოგი რამ მათი საიდუმლოებიდან დანარჩენ რაზმელებთათვის შეუმჩნეველი არა რჩებოდა და... დღითი-დღე შური და მტრობა რაზმელებშიაც ფეხს იკიდებდა.

— ამხანაგებო!—მიჰმართა ბღვერიამ დანარჩენებს, როცა ყველანი კაკალ ქვეშ წამოწვნენ—საცაა დაბინდდება და ჩვენი ბიჭებიც მოვლენ... ადი, პეტრე, სოფელში და ათის-თავს უთხარი: სოფელს კარგი ვახშამი მოამზადებინოს. ცხოვრებაშვილს ჩინებული ღვინო აქვს... ქვევრი მოგვიხადოს, თორემ დედას ვუტირებ!.. ჰა, აბა, ჩქარა იარე!

ერთმა ხუთთაგანმა თოფი მხარზე გაიდო და უსიტყვოთ გაუდგა გზას.

— ეგეც ხომ მოვიშორე თავიდან—განაგრძო ბღვერიამ და საარაკო ქოლგასავით შეკრულ კაკლის ხეს თვალი შემოავლო—ამ ბოლო დროს რაღაცას ვამჩნევ მაგ ყურუმსაღს, თითქოს აღარ მოსწონს ჩვენი საქციელი. ბილა, სანდოლაა ე ბიჭი?—გადასძახა ბილას.

— ვინა? პეტრეი? დიდი ამოსავარდნელია... მოსაკლავია!—ყრუთა სთქვა ბილამ და ორ-აზროვნად ჩაიცინა.

ლეკიანთ ბილა ნიკას სოფლიდან იყო, სარაიონო ორგანიზაციის წევრად ითვლებოდა და მთელი ხეობის ასისთავის თინამდებობას ასრულებდა.

ჯმუხი, კარგად ჩასხმული და მღვრიე თვალებიანი, სწორედ ტურასა ჰგავდა ლეკიანთ ბილა. იქნებოდა ასე 26—28 წლისა, ქოსა, სახეზე ჟანგი გადაჰკვროდა და ეშმაკურად გამოიყურებოდა. ტანსაცმელად ხმარობდა მუქ ლურჯ ბლუზას, ხოლო ბლუზის ზემოთ მუქ რუხ ჩოხას ატარებდა. თავზე ნაბიდის ქუდი ეხურა.

ბილამ წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ქალაქში ყოფნის დროს,—სადაც სადურგლოზე მუშაობდა—ბევრი რამ გაეგონა მუშათა ცხოვრების შესახებ. მიტინგებსა და კერძო კრებებს არ აკლდებოდა და ყველა განაგონი დომხალივით არეოდა თავში. თავისებურათვე ესმოდა სხვის მიერ მისთვის წაკითხულ პროკლამაციების შინაარსიც. ქალაქში ყოფნისავე დროს ბილა დაახლოებოდა პარტიის ხალხს, მათი ნდობა დაემსახურებინა, მათი მიხვრა-მოხვრა და კილო ლაპარაკისა შეეთვისებინა და ბოლოს „მქადაგებლადაც“-კი გადაიქცა.

მთელ ხეობაზე ბილა „ახალ-თაობის“ უპირველესს კაცად იყო მიჩნეული და მალე ისე გააბრიყვა მთელი ხეობა თავისის დაუსრულებელის ლაქლაქით, რომ გაეშმაკებულ-გათუთიყუშებული ბილა ყველაზე ერთგული მუშაკი ეგონათ.

ბილასთანა „მქადაგებელი“ ბევრი მოეკლინა ჩვენ დაბა-სოფლებს, მაგრამ იმისთანა მოხერხებული-კი მეორე არავის უნახავს. თუმცა ერთსა და იმავე დროს რაზმელიც იყო, ასის-თავიც და „მქადაგებელიც“, მაგრამ, როცა თავისზე გამოცდილ და ნასწავლ „ამხანაგს“ შეხვდებოდა ხოლმე, კალმახივით უკვდებოდა კაცს ხელში და ისეთ სახეს ღებულობდა, გეგონებოდათ, ჭიას ვერ გააღკიძებსო. სამაგიეროდ, თუ-კი მოიხელთებდა, ან დაიმარტოვებდა ხოლმე სოფელს, მეხივითა გრგვინავდა და რაღაც „კომიტეტის“ სახელით მთელ ხეობას შიშის ზარსა სცემდა. გარეგნობით მშვიდი, უწყინარი და საპყარი—ცბიერებისა და ბოროტების განხორციელება იყო. ახლაც იმიტომ ჩაიცინა ორ-აზროვნად, რომ თავისს „ამხანაგ“ პეტრეს დიდი ხანია მახეს უგებდა, რადგანაც გულუბრყვილო და უბირი პეტრე ბოლოს მაინც მიხვდა რაზმისა და მის მეთაურთა ყალთაბანდობას და ნელ-ნელა ჩამოშორებას აპირებდა.

— ვინ არის, ბიჭო, მოსაკლავი, პეტრეი? რათაო მერე, ჰა?—იკითხა მესამე რაზმელმა, რომელიც თავქვეშ თოფ-ამოდებული, გულაღმა გაწოლილიყო.

— მაშ შენა?—შეუტია ბილამ და ამღვრეული თვალები შეანათა.

— თუ საქმე წაგვიხდება, იცოდეთ მაგისაგან ეჭვნება—განაგრძო ბილამ—ენაზე ცხრა პირი ტყავი ამძვრა, ძღივს დავიმორჩილე მთელი ხეობა, გლეხებს ღმერთივით ეშინიათ ჩემი, ეგ-კი გამომდგარა და ჭკუას მარიგებს...

— ხო-და ვნახოთ, რასაც გაიტანს!—დაუმატა ბღვერიამ.

— რატომ „კომიტეტს“ ანგარიშებს აღარ ვაძლევთო,—იმ დღეს მეჩხუბებოდა პიტრეი—წამოიბუბუნა პირაღია და დორბლიანმა თედომაც (მეოთხე რაზმელმა).

— კომიტეტი ვინ ოხერია, კომიტეტიც ჩვენა ვართ და ხემწიფეებიცა... კომიტეტმა რა ჩემი ფეხები იცის, ჩვენ აქ რა ტანჯვაში ვართ... თუ კარგი კომიტეტი იყო პირველათ რომ ბოგვესინენ ბურჯუები და ყაზახები, სოფელს გაამაგრებდა. ახლა-კი ჩვენ შევკარით სოფელი და მე კომიტეტისა აღარა ვიცი-რა!—გაცხარდა ბილა და ზეზე წამოდგა!—

— ბაბა მობრძანდეს ი კომიტეტი და ნახოს, როგორა მაქვს ზურგი აჭრელებული ყაზახების მათრახებითა?!—აღარ ისვენებდა ბილა—სად იყო მაშინ კომიტეტი, როცა ყარაზამთარში აქა იქ ვიმალებოდი და შიმშილით კუჭი მეწოდა, ჰა?

— წავიდნენ, იმათი სულიც არ იყოს—კვერი დაუკრა ბღვერიამაც—ისინი თუ ი ქალაქში ყრიან და ქეიფობენ, ჩვენ გვერდებში გაგვიჯდება—არა?

— ღვთის წინაშე, ქეიფით კი ჩვენც კარგად ვქეიფობთ! ვითომ და იოხუნჯა პირაღია თედომ.

— ე მა ყბედობასა, ისა სჯობია კარგად დაიხსომო, რა საქმეცა გაქვს გასაკეთებელი!—გაუჯავრდა ბილა და ბღვერიას სთხოვა: ერთხელ კიდევ გამეორებინა დავალებანი.

ბღვერია ნახევრად წამოდგა, თოფს დაეყრდნო და ბოხის ხმით დაიწყო.

— შენ, პირაღია, უნდა ჩამოუაროო გამოღმა მხრის ხუთ სოფელს და გამოუცხადო: ვინც ი კუდა კნიაზს ბოიკოტს არ დაარტყავს, სულს ამოვართმევთ-თქო—ჩვენ უგინებივართ. ვინც ამავე სოფლებში ზეგამდე კომლზე ათ შაურს არ გადაიხდის, უბედურ დღეს დავაყენებთ-თქო.—ფული აღარა გვაქვს. ოთხ ჩვენ რაზმელს ცხენები აღარ უვარგათ: ერთი თვეა, რაც ზურგი წაუხდათ. ეს ხურგ-წამხდარი ცხენები პატრონებს მიჰგვარე, ან იმ სოფლის მინდორში გაუშვი და ახალი ცხენები წამოიყვანე. შენ კი-

ერთფეროვანი საქონელი ... ებენ უმთავრესად მუშაობენ საქონელს. ერთი სიტყვით, როგორც თეორია და პრაქტიკა ნათლად მოწმობენ ახტალის ამ საოცარ სამკურნალო თვისებას. წელს მომანავეთა რიცხვი ადიოდა 60—100-მდის და ყველა ესენი შესაფერ ბინის უქონლობის გამო შეხიზნულნი იყვნენ გლეხების ოთახებში მათთან ერთად; თვით ტალახზე ხომ არავითარი თავშესაფარი არ არის და ბანაობენ ახდილ ცის ქვეშ ქალები თავში და კაცები ბოლოს. რაც შეეხება სანოვაგეს ამ მხრივაც ავადმყოფები დიდს გაჭირვებას განიცდიან; ერთი სიტყვით აქ ცხოვრება დიდ გასაჭირს შეადგენს არამც თუ ავადმყოფისთვის არამედ კარგადმყოფისათვისაც. თუ ამ გაჭირვებულ პირობეებს არ ურიგდებიან და ხალხი მაინც ასობით მოდის, უნდა ვიფიქროთ, რომ იქ თუ დაკმაყოფილებულ იქმნება ელემენტარული მოთხოვნილებები: გაკეთებულ იქნას პირველ ხანში მაინც 2 ბაკი — ერთი ქალებისთვის და ერთიც ვაჟებისთვის და აგრეთვე კოტა მზრუნველობა გამოიჩინოს ვინმე ბინების და სანოვაგის შესახებ, მაშინ უნდა დარწმუნებული ვიყოთ ავადმყოფთა რიცხვი ათასებად იქცევა. როგორც გადმომცეს, ცდა ამ ტალახზედ საბანაოების მოწყობისა წინა წლებში ბევრჯველა ყოფილა, მაგრამ მუდამ უშედეგოთ გათავებულა. მიზეზი კი ამისა სულ უბრალო გახლავს: ეს ალაგი ეკუთვნის ანდრონიკაშვილებს, აბაშიძეებს, აფხაზს და სხვ. როგორც ამბობენ მონაწილეთა რიცხვი ორმოცს აღემატება, რომელნიც მოფანტულნი არიან რუსეთის სხვა და სხვა ალაგებში, უმთავრესად სამხედრო სამსახურში; ამათი მოკრება კი თავს ვერავის უდვია რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათთან კანონიერად საქმის დაჭერა, უამისოდ კი საქმის დაწყება ყოველად შეუძლებელია. ერთი ამგვარი ცდა იყო წელს.

ს. გურჯაანში წელს გაზაფხულს ექიმის და მომ.—შუამავლის მეთაურობით შესდგა ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელსაც აზრად ჰქონდა მოეკიდნათ ამ საქმისთვის ხელი, დაეწყოთ სულ მცირედან და თან და თან საქმე გაეფართოებინათ, მონაწილეობათ ხდიდნენ თვით პატრონებსაც, მაგრამ სიგვიანის და ზემოდ მოყვანილ მიზეზის გამო იძულებულნი შეიქნენ გადაედოთ მოხერხედ—გია,—მიუბრუნდა ახლა მეორეს—გახვალ ლიახვ გაღმა და ჩვენ ბიჭებს შეატყობინებ, რო ი ცაცას სიკვდილი გადავუწყვიტეთ,—ამ დღეებში გაისტუმრონ საიქიოს—ყაზახებით ლაღები აუკრეფია. იქიდან გამოიარე ვაშლოვანში და „კაპიტანსა“ და იმის ძმას სახლი შეუკარი—გაწყდეს აზნაურების ქოქი! ბატონიანთ მოურავს კი დაემუქრე, თუ ამ დღეებში ათი თუმანი არ გამოგიგზავნია—მოგკლავთო. იქიდან ჩამოუვლი თამარაშენს და კნიაზის ლურჯა კვიცს წამოიყვან, აი მატარებელს, ჩემი ცხენი ჩაჭიჭა გამოდგა ი ოხერი. თუ არ გამოუგზავნია, მერე მე ვიცი! სხვა საქმეებს-კი მე და ბილა გავაკეთებთ... გაიგეთ?—შეეკითხა ბღვერია თედოსა და გიას.

— როგორ არ გავიგეთ, სულმერთს ამოვაცლით, თუ არ შეგვისრულეს! . — სიცილითა სთქვეს ორივემ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბღვერია წამოდგა და კაკლებ ქვეშ ფოთიალი დაიწყო და როცა დრო იხელთა, ბილას თვალი იყო. ბილაც მიუახლოვდა.

— ურია რო ჩავაძღლებინეთ, ფული და ფარჩა ხომ კარგ ადგილასაა შენახული? უჩურჩულა ბღვერიამ.

— ფიქრი ნუ გაქვს... მეც რა ბიჭი მნახე?—ჩუმათვე უპასუხა ბილამ, შავ-ბნელად ჩაიცინა და ნაგერალა ულვაშებზე ხელა გადაისვა.

— მაშ ხვალ საღამოთი ამოვალ შენთან.

ბულ დროსთვის, დღევანდელი დღე, ჩემის აზრით საუცხოვო დროა შეუდგნენ დაწყებულ საქმის ასრულებას, მაგრამ საჭიროა დაეხმაროს ამათ აგრეთვე მაზრ. თავ-აზ. წინამძღოლი, რომელსაც შეუძლიან ცნობაში მოიყვანოს მონაწილეთა ვინაობა და აგრეთვე მაზრის ინტელიგენცია და განსაკუთრებით კი ექიმები და ის, ვისაც საექიმო საქმესთან აქვს რამე დამოკიდებულება; ყველაზედ მეტი ვალი და პასუხისმგებლობა კი ამ შემთხვევაში ედებათ მომავალ კურორტის მფლობელთა უფრო შეგნებულ ელემენტებს; ესენი მოვალენი არიან გავლენა იქონიონ დანარჩენებზედაც და როგორმე ხელი შეუწყონ ამ მამულის ხსენებულ ჯგუფის ხელში ჩავარდნას, მით უმეტეს რომ ეს ჯგუფი არ არის თავის ჯიბის გასქელებით გატაცებული და უმეტესად ზრუნავს საერთო საქმისათვის.

მგონი დროა, ჭკვაზედ მოვიდეთ და ესეც სხვას არ ჩაუგდოთ ხელში და სხვის ჯიბეები არ დავასქელოთ ჩვენის სიმდიდრით, სხვა რომ არა იყვეს რა საქმეს ადარ ეგვიანება, რად განაც უპატრონობის გამო ტალახი სადღაც იღუპება და თუ დროზე არ მოევლო, დაუდევრობის გამო ეს ძვირფასი ადგილი შეიძლება სრულიად უსარგებლო შეიქმნეს.

მრეველი.

ახალი ამბები

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ ხოლერიანთა რიცხვი. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 23 აგვისტოს დილის 9 საათიდან 24 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 1 კაცი, ხოლერის ნიშნებით—2. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 14 ავად-მყოფი, მოემატა—2, გახდა სულ—16.

✦ სამაზრო სასანიტარო კომისია. რადგან ტფილისის მაზრაში ხოლერა კვლავ მძვინვარებს, ხვალ საგანგებო კრება ექმნება მაზრის სასანიტარო საალმასრულებლო კომისიას საშინელ სენის წინააღმდეგ საჩქარო ზომების შესამუშავებლად.

✦ ხოლერა თელავში. როგორც გვატყობინებენ, თელავში ხოლერა კლებულობს. ოფიციალურ ცნობით; 20 აგვისტოს ხოლერით ავად აღარავინ გამხდარა.

✦ ქალაქის საგაზო ქარხანა. გუშინ, 24 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა ინგლისის კაპიტალისტ-ინჟინერების წარმომადგენელი ინჟენერი თავ. ჩოლოყაშვილი, რომელმაც მოლაპარაკება უნდა გამართოს ქალაქის გამგეობასთან ტფილისში ქალაქის საგაზო ქარხანის აშენების შესახებ. ინჟენერთა ამხანაგობას თავ. ჩოლოყაშვილისთვის დაუვალებია იჯარით აიღოს ქარხნის აშენება და შესაფერი რწმუნებაც მიუცია. ამხანაგობის პირობებს ქალაქის გამგეობა ერთ თავის უახლოეს კრებაზე განიხილავს თავ. ჩოლოყაშვილის თანადასწრებით.

✦ ექსარხოსის გამგზავრება. გუშინ, დილის მატარებლით ტფილისიდან ბაქოს გაემგზავრა საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი. ექსარხოსი საღგურამდე გააცილეს ქალაქის სამღვდელოების უმაღლესმა წარმომადგენლებმა.

✦ ჯარში გაწვეულნი დღეს კრება ექმნება ტფ. სამაზრო სამხედრო საკრებულოს ახლად გამოცხადებულ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდათა ჯანმრთელობის შესამოწმებლად.

✦ საეკლესიო მუზეიუმის გამოცემა. საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის დადგენილებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეგზარხოსის მიერ, იბეჭდება ქადაგება ეპისკოპოსი იოანე ბორნელისა. ქადაგება გადასწერა მოსე ჯანაშვილმა მეათე საუკუნის ეტრატიდან.

✦ სვანეთიდან ექსკურსიის დაბრუნება. უკვე დაბრუნდა სვანეთიდან ტფილისში ექსკურსია, რომელშიაც იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ კლდიაშვილი, თ. პ. თუმანიშვილი და ი. ნიჟარაძე. ბ-ნ თაყაიშვილს სვანეთში ბევრი საყურადღებო საისტორიო მასალა შეუკრებია ვრცელს მოხსენებას მოგზაურობის შესახებ ბ-ნი თაყაიშვილს ქართულ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებაში წაიკითხავს.

✦ სასანიტარო დათვალიერება. გუშინ ქალაქის სასანიტარო კომისიამ დათვალიერა ირაკლისა, ბებუთოვისა და სუმბათოვის აბანოები. პირველი ორი ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და მათ პატრონებს კომისიამ შესაფერი რჩმები შეუდგინა.

✦ ხოლერა. პოლიციის ცნობით, 23 აგვისტოს ტფილისში ხოლერით ავად გახდა ორი კაცი: 1) ეკატერინე კანდუროვისა და 2) როზალია პილეცკისა. მათ ბინებს დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ ქართული სამეურნეო საზოგადოება. 23 აგვისტოს ტფ. სადეპუტატო საკრებულოს სადგომში კრება ჰქონდა ქართველ ინტელიგენტთა ერთს ჯგუფს ტფილისში ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დაარსების შესახებ. უმთავრესი მიზანი საზოგადოების იქმნება ხელი შეუწყოს სოფლად კოოპერატიულ ამხანაგობათა დაარსებას და საერთოდ სასოფლო მეურნეობის განვითარებას ტფილისის გუბერნიაში. კრებამ პრინციპიალურად გადასწყვიტა ამ საზოგადოების დაარსება და საუკეთესოდ სცნო საზოგადოება დაარსოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებისთვის გამოცემულ 1898 წლის წესდების თანახმად. კრებამ აგრეთვე სასურველად სცნო საზოგადოების საბჭო შესდგებოდეს 12 კაცისგან, საწევრო ფული იყო წელიწადში 3 მან. დასასრულ კრებამ დაავალა თავად ს. რ. ვახვახიშვილს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.

✦ გადასახლებული. 23 აგვისტოს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო ტფ. მცხოვრები ალექსანდრე სტეფანოვი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ 23 აგვისტოს საერთო ჩხრეკა—დაბატიმრების დრო ძალაქის სხვა და სხვა უბანში ბოდიციამ შეიპყრო 45 უბასბორტო.

✦ ეკეკ გამოარკვიეს 22 აგვისტოს მტკვარში დამდგრზად უმაწვილის ვინაობა. ის ადმოჩნდა დუშეთის მაზრის სოფ. ახალ-დაბის მცხოვრები ალექსანდრე იოსების ძე ნარიმანიძე, 14 წლისა.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ „წვრილ ამბებში“ კორექტორის უყურადღებობის გამო სამწუხარო შეცდომა მოგვსვლია. აფრიკელ „სომაელთა“ მაგიერ „რომაელთა“ არის აწყობილი, რაც ამახინჯებს იმ წერილის აზრს. სომაელები შავკანიანი თემია აღმოსავლეთ აფრიკაში და სწორედ ამ შავ-კანიანებს გადაურეკეთ კერძნელი ბანაკანი.

მოწერილი ამბები

ლეჩხუმის ვითარება. ლეჩხუმი მდებარეობს ქუთაისიდან ჩრდილოეთით ორმოცდა-ათი ვერსის სიშორეზე. აღმოსავლეთით საზღვრავს რაჭა, დასავლეთით მთა, რომლის დასავლეთისავე მხრით არის სამეგრელო. ჩრდილოეთით სვანეთი და სამხრეთით იმერეთი. გაშენებულია მდ. რიონსა და ცხენისწყლის აქეთ-იქით ნაპირებზე და დაყოფილია ათ სამამასახლისოდ. ლეჩხუმს აქვს ერთი გზატკეცილი „ოსეთის სამხედრო გზად“ წოდებული. ეს გზა იწყება ქ. ქუთაისიდან, გაივლის ლეჩხუმის ნაწილს და მიდის დ. ონში (რაჭაშია). ეს გზა ს. ალპანასთან (ლეჩხუმშია) სტოვებს შტოს, რომელიც უხვევს ჩრდილოეთისკენ და მერმეთ ჩრდილო დასავლეთით მიდის დ. ცაგერში. ს. ალპანიდან ცაგერამდის იქნება 15—16 ვერსი. ამ გზიდან 2—3 ვერსზე, აღიპანის ახლოს, არის მეორე დაბა ლაილაში. ლეჩხუმში კარგი სანახავია ძველ ციხე-სიმაგრეთა ნაშთი. აქაურ მკვიდრთა ცხოვრების წყარო მხოლოდ მიწადმოქმედებაა. ზამთრობით კი უმრავლესობა სამუშაოდ მიდის სხვა ქვეყნებში, საიდანაც გაზაფხულზე ბრუნდებიან. მკვიდრთა ნაწილს დიდს სამსახურს უწევს ხილი (ვაშლი), რომელიც აქ კარგად ხარობს. მიუხედავად აქაურ მდიდარ ბუნებისა, ლეჩხუმელები უკიდურეს სიღარიბეს განიცდიან. ღარიბნი არიან სულითაც, ქონებრივადაც. სწავლა-განათლებას ყურადღებას არ აქცევენ. სამეურნეო ცოდნის შეძენა ხომ ცოდვა-დ მიაჩნიათ. ასე გასინჯეთ აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენებაც-კი „წმინა გიორგის“ განრისხებად სთვლიან. თუ ვინმემ გაბედა ამ ჭიის მოშენება, ბუნების მაზარალებელ მოვლენას მას დააბრალებენ. ყოველივე პროგრესიულს და ახალს აქაურები ღვთისა და „წმინდანის“ საწინააღმდეგოდ სთვლიან, და თუ რამ უბედურება დაატყდათ თავზე, რასაკვირველია თვისი დაუდევრობითა თუ უვიცობით, ღვთის წყალობას მიაწერენ. ან და „ლალატს“—„ნაეშმაკარს“—„ნაკუდიანებს“, რიგორც აქ ეძახიან.

უსამზღვრო ცრუმორწმუნოების გამო მთელი ლეჩხუმი ათას უბედურებას განიცდის. ყველას მოეხსენება, რა საზიზღრობასაც სჩადიან ყველგან მკითხავები,—„მარჩიელები“. მაგრამ კალმით არ აიწერება დ. ლაილაშში მცხოვრებ მკითხავების ოინები და უგვანო საქციელი. უმრავლესობა ამ მკითხავებისა ებრაელებია. აგერ ბეჩავი სოფლის ქალი თუ კაცი შვილებს პირიდან ლუკმას აცლის, მიაქვს ერთი ბათმანი ფქვილი ან სხვა სანოვაგე დ. ლაილაშში „შალომია“ ან „მანვახასთან“, ან და „კეკელასთან“. მერე რისთვის მიდიან და რას მოელიან ამათგან!—შვილი მყავს ავად (ან ქმარი თუ ცოლი და სხვა) რა მიზეზია გამიგეო.—ეს „ნაღალატია“—ეუბნება,—ერთი ვინმე გღალატობს და თუ თავს არ უშველე, ჩემი წამლები არ ჭიღე დაიღუპებიო. დაიწყებენ გულუბრყვილონი „წამლის“ ზიდვას. რასაკვირველია ყოველთვის სასყიდელი უნდა გაიღონ. ვინ იცის, რამდენი ლატაკი უარესად ვალში ვარდება. ავადმყოფი კი უმეტეს შემთხვევაში წუთისოფელს ესალმება.

ტყვილად ნუ შეიწუხებთ თავს და მკითხავების წინააღმდეგ სოფლელს ნურაფერს ეტყვით ის შენც გაგლანძღაც და შენს „დოხტურსაც“. მკითხავისადმი რწმენა ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი და ეჭვს გარეშეც სჯერათ მათი სიტყვა. მაგალითად, გახდა გლეხი ავად.—ეს „ბოდებულია“—ან „გადაკიდებულიაო, ამბობს მისი ოჯახობა, მდაბიო ხალხის წარმოდგენით „მოდებულით“—„გადაკიდებულით“ კაცი ხდება ავათ მიწაზე დაწოლის შემდეგ, რომლის ნამდვილი მიზეზი გაციება არის. აქაც მკითხავებს უნდა მიმართონ. წარსულ ივნისში სოფ. ლ. მცხოვრების ა. ს.—ს 15—16 წლის ქალიშვილმა ავადმყოფობის დროს „წმინდანობა“ გამოიჩინა; ხშირად ვიღაც „უხილავს“ ელაპარაკებოდა ამან ხალხზე ვავლენა მოახდინა და ავადმყოფის ვითომც მოლაპარაკე და თვით ავადმყოფი „ანგელოზ“—„წმინდანათ დასახეს“. შემდეგ იგი ფიზიკურად მომჯობინდა და სიარული იწყო მოსახლეებში. აძლევდა ყველას დარიგებას: ქურდობა, მრუშობა, მარხვის ჭამა, თამბაქოს წევა და სხვა დიდი ცოდვა არის,—მე გამომგზავნეს ცოდვილ ქვეყნის მოსარჯულებლადო. მსმენელთ ეკვს გარეშე სჯეროდათ და დიდის მოწიწებითაც ეპყრობოდენ ქალს. ღამ ღამობით ბევრ-თან დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. დაიარებოდნენ შორ სოფლიდანაც და ეკითხებოდნენ „საიქიოს“ ამბებს იგი არწმუნებდა მათ „მორეთმოავლაში“ და სხვა... მის „წმინდანობაში“ ხალხს უფრო ის არწმუნებდა, რომ ამ ქალს გაუსაღდა ცალი თვალი, ავადმყოფობის დროს, რაღაც ფიზიოლოგიური ცვლილებისა გამო თვალი სწრაფად მოურჩა უვიცმა ხალხმა კი ეს მოვლენა ქალის „სიწმინდით“ ახსნა. ასეთია ძალა ცრუმორწმუნოებისა და ვინ იცის როდის განათლდება ჩვენი ხალხი?

გლეხთა სიღარიბესა და გაუნათლებლობას არც აქაურ თავად-აზნაურთა ნაწილი ჩამორჩება. მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს. ეს ვაჟბატონები თავისის ხელით „მუშაობას“ თაკილობენ; სამაგიეროდ, ისეთ ქარაფშუტაობა-ყოყოჩობას ვერსაით ვერ შეხვდებით, როგორც აქაური „ბრწყინვალე“ წოდება ეწევა.

ქალაძე.

—

ქვემო მაჩხანი. ამას წინად გვატყობინებდნენ, ქვემო მაჩხანში ახალ სისტემის ჭაურობდანის მოდელი გაუკეთებია სტუდენტ ა. ახმეტაშვილსა და მალე კიდეც გამოსცდისო, შარასკენს 20 აგვისტოს, მოდელი ვცადეთ მაჩხანის მახლობელ გორაზე „მთა-დიდებულზე“- საუარებელი ხალხი დაესწრო. მთელი დღე ვეღოდეთ, მაგრამ ნიავი არსაიდან ჭქრიდა, სადამის 5 საათზე ნიავმა დაუბერა და ჭაურობდანის მოდელიც ავუშვეთ. იგი საკენ ნახევრამდინ ავიდა და შერე რაკდენიმე მანძილი გაფრინდა მაგრამ ცალი ფრთა მოსტეხა ქარმა და მოდელი ძირს დაეშვა რის გამოც კვდი დაუზიანდა. როგორც ა. ახმეტაშვილი კაღმოკვეცილ იგი ჭაურობდანი მოდელ განიხილეს სახლეარ გარეთულ ჭაურობდანებიდან. თვით ჭაურობდანის მოდელი ორ სართულიანია და ერთი მეხუთედი ნამდვილ ჭაურობდანისა კვდი ძოგრძო და წინ გაშკერილი აქვს; კიდეკ ორ სართულიანი სიჩიხის მაგვარი და ეოკეედ. თვის მოძრაობაშია. შუა წედი ამოგრილია, ხოდო ისე, რომ ჭაერს ერთბამად არ უშვებს ზევით, აქეთ იქით ფრთები აქვს და ფრთებს დიდი ნაგეს მაგვარი ბრტყელი ეუთი. ადგილობრივ ინტელიგენციის თანადასწრებითა. ა. ახმეტაშვილმა ახსნა ეოკეედეკ ნაწილის მნიშვნელობა და მათემატიკურად დამტკიცა, რომ ძალიანი ჭაურობდანი პირდაპირ ავა მაღლა და მას ჯერ მიწაზე კაკრება არ დასჭირდება, რაგორც ეს სხვა ჭაურობდანებს სჭირდებაო. არც უკან გადატრიალდება, რადგან წყდში სახსარი მიკეტი და ბოდოტ მოგრძო და მოძრავი გაგუკეთეო. ეკეტდებით მოდელის სურათი ვეუბნეთ ნგეს მკითხველებს გახეთის ახლო დამატებაში.

ისკანდერი.

—

გორი. 1887 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში გადობის მასწავლებლად დანიშნა ერთი ახალგაზრდა. მთელი ოცდა ოთხი წელიწადი მას შემდეგ მან გაატარა გორში, მასწავლებლობდა თითქმის ყველა ადგილობრივ სასწავლებლებში: საოსტატო სემინარიაში, ქალების გიმნაზიაში, სასულიერო სასწავლებლებში და ვაჟების პროგიმნაზიაში, და ყველგან, რაგორც მოწაფეებისა ისე თავისი პედაგოგების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ეს ახალგაზრდა იყო სიმონ გოგლიბიძე, ვისი სახელიც ყველა გორელმა იცის, ქ. გორში ს. გოგლიბიძეს შეგვქმნა პირველი ქართული სკო�sიო ხორო. დაესწრო დიდ-ძალი ხალხი, ეორის ოქონის ეკლესიაში ამ ხორის პირველ გამოსვლას. ბევრს ესლაც ახსოვს ის დღე. ყველა ადტაცებაში მოიყვანა მკადობელთა ახალმა გუნდმა. ამ ხორომ ქემდეკმა ეოველად სამდვილო ეპისკოპოსი ადექსანდრეს ყურადღება და მადლობაც დაიმსახურა. ამ ხორომ ადზარდა ბევრი ყარეი კაცობის მცოდნე და მათ შორის ეფრო ადსანიშნავია სანდრო კვესაძე და გიგა ხუციშვილი. ესლაც ბევრს მისს ნაშეკარდალს ჭეკეს თავისი ცალკე ხორო. სასულიერო სასწავლებლის კარდა ს. გოგლიბიძე ასევე ერთგულად და მუ-

ყაითად შეშაობდა ეგვლა ზემოდ ჩამოთვლილ სასწავლებლებშიაც, სადაც ის მასწავლებლობდა. ამის გარდა 25 წლის განმავლობაში კორნში არა ყოფილა არც ერთი იმისთანა საქვეყნო საქმე, ან კონცერტი-სადამო, სადაც სიმონ გოკლიჩიძეს შესურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. და ან სულის ჩამდგმელი არ ყოფილიყოს. ეხლა კი ბნი გოკლიჩიძე თავისს ნაამაგარ კორსა სტოვებდა. ის კადიეგანს ტფილისში. ბრეგინცის საზოგადოდ, ნაკლებად ჭეაგს ბ-ნ გოკლიჩიძესთან გულშემატკივარი და მისი კორიდან წასვლა დიდად დასანანია. **გ.—ნ.—**

—

ს. ენისელი. (კახეთი). ბევრი მძარცველი, შემავიწროებელი და შეგლეფელი ჭეაგს ქართველ კლეხობას, მაგრამ როგორც ადაზნის კაცმა სოფლებში იეგლიფვება უამისოდაც დაბეჩავებული ხალხი მეთხვა-ექიმებაშებისაგან, ისე არსად არ მოხდება. აქაურ ინტელიგენციას კი ტაბიდადა სძინავს და ამ უსამართლო ცარცვა-კლეკას ეურადღებას არ აქცევს.

სოფ. შიდდას სცხოვრობს ცნობილი ექიმბაში ს.—ბ.—როდესაც საქართველოში მიდიციობა იყო, მაშინ ეს გვაბატონი მოჯამაგირედა ყოფილა ვიდაც ექიმთან და კაკაკვეთ შეუსწავლია მაშინდელი დროის ზოგი-ერთა წამალის სახელი და რიცხ სამსახურისთვის თავი დაუნებებია. ექიმობა დაუწყია.

დრო და ყამი შეიცვალა და ძველის ადგილი ახალმა დაიჭირა ჩვენი ს. ბ—ს ახალი წამალები ეგიღნია დაფაცურებულა სხვის დახმარებით... „ექიმი ს—ნი“ „როგორც ეძახიან: სრულებით ეს წავლელია და დათანხმის კი არა, ქართველის წერაც არ იცის. დადის ავადმყოფებში, აძლევს ათას კვარს წამალს რის საშუალებით ბევრს ეღრეოდ უსპობს სიცოცხლეს, უმეტესი ნაწილი მისი წამალებისა—წყალი, შაქარი და რაშელიმე კაპლია სუნის მისაცემათ. თვითეულ ბაწია შეშაში არიმეკეს მანეთს, მანეთ-ნახევარს.

მკითხველს მოეხსენება, რომ ჩვენსკენ გავრცელებულია „ფავლარათობა“ და „ტიფი“ „ექიმი ს—ნი“-კი ამ ავანტეოფობას სწამლობს ბრონეულას წვენით, ნიგრით და ძმრით, რაც უფრო უძესლებს ავანტეოფობას. ბატ. ს—ნი არ კმარობს თავის ექიმობას და თავისს ცოდსაც იმეფლეებს როდესაც ს—ნი ავადმყოფთან მიდის და მინჯავს, თუ ჯიბეში აქვს წამალი, იქვე აძლევს, თუ არა და ცოდ უთკლის: „ნეშო, წამალი გამოგზავნეთ“ რომელი წამალი, ან რისთვის ამას არაყინ კითხულობს „ნეშოც“, რასაკვირველია გამოეგზავნის წყალს და შაქარს. ესე გაკლის ლდები, ს—ნის ჯიბე სუქდება, გლესები იეფლიფვებიან ხოდო ავადმყოფები ეღრეოდ ესაკლებიან წეთისოფელს. ბ. ს—ი კი ბეკ კრიდად შესტერის სხვის ტანჯვას და სარცხვიდს კი არა ჭკრძნობს. დრო ბ-ლო მოდის ბ—ნ ს—ნის მეერ ხალხის ცარცვა-კლეკასა და მოტეფეებას. თორემ იძულებული ვიქნები მისი სახელი და გვარი გაზეთის ფურცლებზე სვესეთ გამოგაშკარავოთ. **ბლეხი ვანო.**

ეცხოლეთი

გამარჯვება ს.-დ. გერესი.

საქსონიის ოლქში, ცშოპაუში, რეიხსტაგის დეპუტატების დამატებითი არჩევნები მოხდა. ამ არჩევნებზე გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატმა გერეიმ. ამგვარად, ეს ორმოცდა-მეთერთმეტე სოციალისტი მოხვდა რეიხსტაგში გერე შესანიშნავი პიროვნებაა. ის ჯერ მდვდელი იყო (პასტორი) და მეორე მდვდლის ნაუმანის შემწეობით მან დაარსა „ნაციონალ-სოციალისტების“ პარტია, მაგრამ 1903 წ. გერემ ამ პარტიას თავი მიანება, სოციალ-დემოკრატებს მიეძხრო და ეგრედ წოდებულ „რევიზიონისტების“ შორის თვალსაჩინო ადგილიც დაიჭირა.

გერე მარტო თავისის გამჭრიახობით არ იქცევს საზოგადოების ყურადღებას, საყურადღებო უფრო ის პირობებია, რა პირობებშიც არჩეულ იქმნა გერე. მთელი გერმანია გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს საქსონიის პაწია ოლქის არჩევნებს.

გერე არჩეულ იქმნა 14,831 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ანტისემიტურ „რეფორმათა პარტიის“ კანდიდატისა და 4717 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ თავისუფალ-მოაზრეთა ამგვარად სოციალ-დემოკრატებმა—5500 ხმით მეტი მიიღეს, რამაც ორივე მათ მოწინააღმდეგე პარტიას პირში ბურთი ჩასჩარა. ეს მით უფრო საკულისხმოა რომ ცშოპაუს ოლქი ექვსი წლის განმავლობაში სულ ანტისემიტ-დეპუტატს არჩევდა ხოლმე.

ჯერ ისევ 1907 წ. საზოგადო საკანონმდებლო არჩევნებზე აწ უკვე განსვენებულმა ანტისემიტმა—დეპუტატმა ციმერმანმა 14,763 ხმა მიიღო, წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების 11,281 ხმისა.

ბევრმა ზომიერმა თავისუფლად მოაზრე მოქალაქემ მაშინ სოციალ დემოკრატს ანტისემიტი ამჯობინა, დღეს კი ანტისემიტებმა დაჭკარგეს ათი ათასი ხმა, ხოლო სოც.-დემოკრატებმა შეიძინეს—3,500 ხმა. მოქალაქენი, რომლებიც მაშინ ათასობით ანტისემიტებს აძლევდნენ ხმას, ახლა სოციალ-დემოკრატებისაკენ გადეოკიდნენ და ამით ანტისემიტების პარტიას სამარე გაეთხარა. ეს დამარცხება ანტისემიტებისა მათ უფრო საგულისხმოა, რომ იგინი გამოვიდნენ კრონპრინცის მფარველობის ქვეშ და თავის ლოზუნგათ წამოაყენეს „საეროვნო მოსაზრებანი“ უმაღლესის პირის—კრონპრინცისა. ამიო ანტისემიტებს სურდათ ლელოს გატანა, მაგრამ ვერას გახდნენ, თითონაც დამარცხდნენ და თავისს უმაღლესს მფარველსაც სახელი გაუტეხეს...

ადარებს რა 1907 წლის არჩევნებს 1910 წლისას, ლიბერალური პრესასას შემდეგი დასკვნა გამოუყავს: 1907 წ. მთავრობამ ამიტომ გაიმარჯვა, რომ ბიულოვმა მოახერხა და მოქალაქენი დააშინა „წითელი“ საფრთხე მოგელითო, ახლა კი მოქალაქენი მიხვდნენ რომ „შაკ-ლურჯა“ საფრთხე (ცენტრისა და კონსერვატორების შეერთება) უფრო საზარელია და ამიტომ, მაგალითად, „ბერლ. ტაგებლატი“ ურჩევს ლიბერალებს მომავალ არჩევნებშიაც სოციალ-დემოკრატებს დაუჭირეთ მხარეო.

თუ დღეს ასე მოხდა, ეჭვი არ არის, რომ 1912 წლის არჩევნები უფრო დიდის მარცხით დასრულდება სხვა არა სოციალისტურ პარლამენტებისთვის.

საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი კოპენჰაგენში:

კონგრესი დაწყო კვირას, 15 აგვისტოს. დაესწრო ცხრაასამდე დელეგატი სხვა და სხვა ქვეყნებიდან, ამათგან 200 გერმანელია, 350—სკანდინაველი, 100-ზე მეტი—ავსტრიელი. აქვე თავი მოიყარა სხვა და სხვა ქვეყნის პრესასის ხუთასამდე წარმომადგენელმა. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა დაარსდეს ხუთი კომისია შესახებ: ამხანაგობათა, პროფესიონალურ კავშირებისა, სამედიტორო სასამართლოებისა და იარაღის აკრისა, სოციალურ პოლიტიკასა და სხვა საქმეთა (პროტესტი რუსების პოლიტიკის წინააღმდეგ ფინლიანდიაში, პროტესტი, სიკვდილით დასჯის შესახებ და სხვა). კონგრესთან ერთად იმუშავებს ორი კრება: 1) საერთაშორისო კონფერენცია ახალგაზდობისა (ექიმი კარლიხ ლიბკნეხტი აღძრავს საკითხს მილიტორიზმის წინააღმდეგ პროპაგანდის დაწყების შესახებ) და 2) ქალთა საერთაშორისო კონგრესი უკვე დაიწყო კლარა ცეტვინის თავმჯდომარეობით. ამ კონგრესის პირველსავე სხდომაზე ინგლისელმა დელეგატმა—ქალმა გიკსმა რეზოლიუცია წარადგინა რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ ფინლიანდიაში. ეს რეზოლიუცია ერთხმათა და უკამათოდ იქმნა მიღებული.

რუსეთი

◆ მეტი გულ-მოდგინეობა. თუმცა ოდესის სამოსამართლო პალატამ უკვე საკმაოდ განმარტა, რომ ებრაელების მიერ ქრისტიანულ სახელების ტარება, მაინცა და მაინც, დიდი ცოდვა არ არისო, მაგრამ ეკატერინოსლავის ბრალმდებლები თავისას არ იშლიან და იმ ებრაელებს, რომელთაც ქრისტიანული სახელები ჰქვიანთ, სასტიკად სდევნიან. ამ ცოტა ხანში, პისუხის გებაში მისცეს „პრიდნეპროვკაია მისლის“ რედაქტორის ქალი ვენგეროვსკაია, რომელმაც უწყებაზე თავისი სახელი „ანნა“ მოაწერა. ბრალმდებელმა ამ საქციელში დიდი დანაშაული დაინახა და ვენგეროვსკაიას უკვე საბრალმდებლო ოქმი ჩაბარა.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი. ამა წლის 21 იანვრის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა კანონი, რომლის ძალითაც რუსეთის 50 საგუბერნიო სამმართველოების მოხელეებს ჯამაგირები მოემატათ. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრი ცირკულიარით სთხოვს გუბერნატორებს მეტი ყურადღებით მოეპყრან მოხელეთა მიღებას და რაც შეიძლება მადალ იურიდიულ წყალა-დამთავრებულებს მისცენ ხოლმე საპასუხო თანამდებობანი, ვინაიდან საგუბერნიო სამმართველოებს ისეთი საქმეები აქვთ, რომლებიც ხალხის ცხოვრების უმთავრესს მოთხოვნილებათ უნდა აკმაყოფილებდეს და როცა უფრო კარგი მოხელეები გეყოლებათ, ხალხის ნდობასაც დაიმსახურებთო.

◆ „თავისუფლება არჩევნებისა“ ოდესის ადგილობრივ საზოგადო მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც 17 ოქტომბრის კავშირს ეკუთვნის, განიხილა, საკუთრივ იმოქმედოს მომავალ დამატებითი არჩევნების დროს და თავის კანდიდატათ დაასახელა ი. ა. კაზაროვი. ამის გამო ამ ჯგუფმა მოწოდებაც შეადგინა, მაგრამ გაზეთებმა გრადონაჩალნიკის ნებადაურთველად ეს მოწოდება არ დასტამბეს. მოწოდება წარედგინა გრადონაჩალნიკს ტოლმაჩევს. ტოლმაჩევმა მიიხმო 17 ოქტომბრის კავშირის ადგილობრივ განყოფილების მდივანი, გიმნაზიის მასწავლებელი მისურკოვი და განუცხადა რადგანაც ოდესაში არავითარი „17 ოქტომბრის კავშირი“ არ არსებობს, შენ „ძალად მაცხონე ბარო“ ნარომინარკოვმა ადვილად დაუმტკიცა, რომ ეს, კავშირიც არსებობდა ეგიც ამ კავშირის კანონიერი მლივანია. ბ-ნმა ტოლმაჩევმა ძალზე იწყინა მისირკოვის ასეთი კადნიერება და ახლა სხვა ხრიკი მოუდო. სახელდობრ ის, რომ მისირკოვი, რომელიც სცდილობს მეორე უბნელებმა ამოირჩიონ, მისირკოვის ასეთ მოქმედების ბ-ნმა ტოლმაჩევმა „განმანთავისუფლებელი“ უწოდა და აქვე ტელეფონით გამოიხმო სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და მისირკოვის სამსახურიდან დათხოვნა მოსთხოვა. „ოქტომბრისტების“ მოწოდების დასტამბვაც სავსებით აღკრძალა. ტოლმაჩევი მხოლოდ უკიდურესს მემარჯვენეთა მოწოდებების დაბეჭდვის ნებან იძლევა. რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარ „თავისუფლების“ შემდეგ ოპოზიციის კანდიდატის არჩევა თითქმის უზრუნველ-ყოფილია.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

საზოგადოებაში ბევრჯელ გამიგონია და გაზეთებშიც ბევრჯელ ადენიშნავთ ტფილისის ტრამვაის ზოგიერთ კონდუქტორების უზრდელობა, საზოგადოებისადმი უწესოდ ქცევა, და შეეძლებ კიდევ ბევრჯელ ითქვას და დაიწეროს, თუ რომ მათ თავგასულობას უურადღება არ მიექცეს...

ოდეს სამს ამ თვეს, სადამის 7 საათზე რიეუზე, ს

ტრამვაი დგება, მივედ მე, და ერთი მთავარ დაკონი ს